

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

**ირაკლი ოქრუაშვილმა გორის მაჟორიტარად ირაკლი ოქრუაშვილი წარადგინა**



ორშაბათი, 5 ოქტომბერი, 2020

№208 (8472)

ფასი: 60 თეთრი

## „კალაქემ პირდაპირ თქვა, რომ არჩევნებს გააყალბებენ“



ლადო სადღოზელაშვილი:

„წელს გვეყოლება თეატრალური დასი და არა პარლამენტი“



**„ბუბა ქიკაბიძე პრინციპულობისა და მტერთან დაუმორჩილებლობის ნიშნით შევარჩიეთ“**

დავით კირკიტაძე: „ოპოზიციისა და პოლიტიკოსების გადასაწყვეტი არ არის, ვინ იქნება პრემიერი“



**გია ნოდია: „სააკაშვილის პრემიერობის კანდიდატობა „ოცნება“ გააძლიერა“**



**გიქინა გუჯაბიძე: „ნასიონალები იმ რაოდენობით ვერ მოვლენ პარლამენტში, რომ ძალაუფლება დაიბრუნონ“**

**რამაზ საყვარელიძე: „სანამ ნასიონალური მოქრობა და „ოცნება“ იქნებიან, ორპარტიული დაპირისპირება შენარჩუნდება“**



**„ჩვენ არ დავუშვებთ საარჩევნო პროცესის ძალადობრივი სხანარით განვითარებას და მკაცრ რეაგირებას მოვახდენთ ნებისმიერი სამართალდარღვევის ფაქტზე“**

„თითოეული სამართალდამრღვევი პასუხს აგებს კანონის მთელი სიმკაცრით, პოლიტიკური კუთვნილების მიუხედავად“




**5** ვლადიმერ ბორცხაძე: „მარნეულში ქურნალისტური საქმიანობის ხელის შეშლის ფაქტზე გამომძიება გრძელდება“

**6** ტრამპი: „გასილებით უკეთ ვარ. უნდა დავბრუნდე“

**4** ბლუმბერგი: „დაპირისპირებული ქვეყნების მეზობელია მუდმივად არასტაბილური საქართველო“

**6** სომხეთმა განჯის აეროპორტი დაბოძა აზერბაიჯანმა ყარაბაღის 7 სოფელი დაიკავა



# „ბუბა კიკაბიძე პრინციპულურობისა და მხარეთან დაუმორჩილებლობის ნიშნით შავარძლით“

## დავით კირკიტაძე: „ოპოზიციისა და პოლიტიკოსების გადასაწყვეტი არ არის, ვინ იქნება პრემიერი“

იაგო ნაცვლიშვილი

რა ნიშნით შეარჩია „ემი — ძალა ერთობაშია“ პრეზიდენტული სიის პირველ ნომრად ბუბა კიკაბიძე? როგორ გახდება მხედრულ სააკაშვილი პრემიერი, როცა ოპოზიციის დიდი ნაწილი მას მხარს არ უჭერს? რამდენად სწორია, როდესაც ჯერ კიდევ გუშინ „ქართულ ოცნებაში“ მყოფ პირებს ბლოკში იღებენ და დაუსვამენ თუ არა მათ კითხვებს, ჰქონდათ თუ არა პროტესტი 20 ივნისის მოვლენებზე? — ამ და სხვა აქტუალურ კითხვებზე „ახალი თაობასთან“ ინტერვიუში ნაცვლიშვილი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი დავით კირკიტაძე საუბრობს.

— როგორია თქვენი შეფასება „ევროპული საქართველოს“ საარჩევნო კლიშეზე, სადაც მიხეილ სააკაშვილი და ბიძინა ივანიშვილი არიან და ფაქტობრივად ტოლოზის ნიშნისა დასმული. როგორ აფასებთ ამას და კორექტულად მიგაჩნიათ? — ჩვენ საჯაროდ განვაცხადეთ ჩვენი პოზიცია, რომ რაც არ უნდა ჩაიღონ ჩვენმა მეგობარმა პარტიებმა, ამ საკითხებზე კომენტარებს არ გავაკეთებთ. ეს არის ჩვენი საარჩევნო სტრატეგია. საზოგადოებამ შეაფასოს და განსაჯოს, მე შეფასებებისგან თავს შევიკავებ. — თქვენ განაცხადებთ, რომ მარნეულის საკრებულოს ერთ-ერთი წევრი „ოცნებას“ ტოვებს და ნაციონალურ მოძრაობას შეუერთდა. — კი ბატონო. ეს არის ბატონი გასანაოვი. — თქვენთვის მისაღებია ეს? როდესაც გემი იძირება და მაშინ მოდიან, მისაღებია? — „გემი იძირება“ და მსგავს მეთაფორებს ვერ გამოვიყენებთ. საქმე ეხება ჩვენს ქვეყანას და ახლა არჩევა არ უნდა დავინწყეთ, გუშინ ვის რა პოზიცია ეკავა. ქვეყანა უმძიმესი ეკონომიკური



მდგომარეობიდან არის ამოსაყვანი და ყველა მხრიდან გასაერთიანებელია. თუ დავინწყით იმაზე მსჯელობა, გუშინ ვინ რა პოზიციაზე იყო, ვილაცის ბაბუა იყო ბოლშევიკი და ვილაცის ბებიის — მენშევიკი, მაშინ ამ ქვეყანას ვერ გავაერთიანებთ და წინ ვერ წავიყვანთ. საუბარმა, რომ ის ნაციონალი იყო და ის სხვა ფლანგზე იყო, ქვეყანა სადამდეც მიიყვანა, ვხედავთ. ვისაც სისხლის სამართლის დანაშაული არ აქვს ჩადენილი და საზოგადოების კონსენსუსი არ იქნება, ჩვენ წარსულის ქექვას არ ვაპირებთ. ერთ წრეზე ტრიალი კარგს არაფერს მოიტანს. — ერთ წრეზე ტრიალი არ არის მუდმივად პორტირება, შევარდნაძის ხელისუფლებიდან თქვენს ხელისუფლებაში გადმოსვლა, მერე „ოცნებაში“ და ახლა ისევ ენ-ში გადმოსვლა? — ერთ წრეზე ტრიალი არის შურისძიება. ერთ წრეზე ტრიალი არის წამოძახილება. ვისაც აქვს სურვილი, რომ ქვეყნის აღმშენებლობაში მიიღოს მონაწილეობა და ამის უნარი აქვს, კარი გაგრძელება მე-3 გვერდზე

# „კალაქამ პირდაპირ თქვა, რომ არჩევნებს გააყალბებენ“

## ლადო სადღობელაშვილი: „წელს გვეყოლება თეატრალური დასი და არა პარლამენტი“



„ახალი თაობის“ კითხვებს ლადო სადღობელაშვილი პასუხობს.

— დიას, ბუბა კიკაბიძე! 80 წლის კაცი, რომელსაც თავისი სახელისა და გვარის გამოთქმა უჭირს. ეს უფრო პიარული ნაბიჯი იყო. რაში დასჭირდა ბუბა კიკაბიძე, ჩემთვის გაუგონარია. გინდ ნაციონალური მოძრაობა აიღო, გინდ „ქართული ოცნება“ და გინდ „ლელო“. მათი სიის პირველ ათეულში ვერაფერს ვიხილე საქმის გამკეთებელი. პარლამენტარებს ჩვენ ვეჩირობთ, ფულსაც ჩვენ ვუხდით და მათ კი ჩვენს კეთილდღეობაზე უნდა იზრუნონ. და ვინ უნდა იზრუნოს, ვინ უნდა დაგვინეროს კანონები?! მუსიკოსებმა? ფეხბურთელებმა? თუ მომღერლებმა?! ვინ უნდა იზრუნოს ხალხზე?! მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ეს პარლამენტი ყველაფერს გააკეთებს, ხალხზე ზრუნვის გარდა. რომელია აქედან კანონის დამწერი?! ნაყოფია, ვაშაძე თუ კიკაბიძე?! თუ ხაზარაძე და ჯაფარიძე დაინწყებენ ხალხზე ფიქრს?! — უკვე კეთდება შეფასებები, რომ ასეთი პარლამენტი დიდხანს ვერ გასტანს. ასე იქნება? — დარწმუნებული ვარ, ამ პარლამენტში 7-8 პარტია შევა და ეს იქნება თეატრალური დასი და არა საკანონმდებლო ორგანო, რომელიც მხოლოდ წარმოდგენებს შემოგვთავაზებს, საქმეს კი არაფერს გააკეთებს. გასაგებია, მმართველ გუნდს რაც აქვს ჩაფიქრებული. — რა აქვს? — უნდა, რომ ქუჩის პროცესები მთლიანად გადაიტანოს პარლამენტში, ანუ რაც შეიძლება ბევრი პარტია შეიყვანოს. საერთოდ ღირს ამ ხალხის არჩევა? მებაღეობა კითხვა. — ძალიან მაღალი პროცენტია გადაუწყვეტელი ხმების, ვისაც არც ერთი პარტია არ მოსწონს. რა მოხდება არჩევნების დღეს, სახლში დარჩება ეს ამომრჩეველი თუ რაიმე სიურპრიზს უნდა ველოდეთ? — მე მაქვს უტყუარი ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ უახლოეს პერიოდში კორონავირუსის გამო ისევ სახლებში გამოგვკეტავენ, ჩაკეტავენ საზღვრებს, შეგვრღულდავენ გადაადგილებაში. ეს ყველაფერი კი კეთდება იმისთვის, რომ რაც შეიძლება ცოტა ადამიანი მივიდეს არჩევნებზე, ასევე არ ჩამოვიდნენ უცხოელი დამკვირვებლები. მათი ძირითადი მიზანია, რაც შეიძ-

ლება ცოტა ადამიანი მივიდეს არჩევნებზე, შემდეგ კი თავიანთი 38% უფრო მაღალ პროცენტად აქციონ. — კალაქამ ლიად განაცხადა, რომ ისინი პროპორციულ ნაწილში ელიან 60%-ს, ხოლო მათორიტარების უმრავლესობას პირველივე ტურში მოიგებენ. რას ნიშნავდა მისი ნათქვამი? — ეს იყო პირდაპირ ნათქვამი, ჩვენ არჩევნებს გავაყალბებთო. პირდაპირ იყო საუბარი იმაზე, რომ არჩევნებს გაყალბება იგეგმება. გააყალბებენ როგორც პირდაპირი გაგებით, ასევე იქნება მანიპულაცია ამ რაოდენობიდან გამომდინარე. მე მივმართავ ოპოზიციურ პარტიებს, თუ მართლა რამის თავი აქვთ, გამოვიდნენ, სანამ დროა და რაღაც იღონონ. თუმცა მათი მოქმედებები ცხადყოფს, რომ ესენი არიან შეკრულები მმართველ ძალასთან. ეს ადამიანები არიან ნაყიდი! — ბიძინას მიერ? — რა თქმა უნდა! „ქართული ოცნების“ მამის, ბიძინა ივანიშვილის მიერ, იმიტომ, რომ მას არ იღებენ. ბიძინასა და „ოცნებას“ ალარაჟინ ახსენებს, ერთმანეთის ჭამაზე არიან გადასული, მთავარ აქცენტებს კი არაფერს სვამს. — ლადო, ნაციონალური ასხენთ და მათ სივრცე სერიოზული კრიტიკა მოჰყვა, თავგადასვლი და ახალგაზრდა კადრების სიის ბოლოში ჩასვლას, ხოლო ეს ოდიოზური და ახლად გადაბორებული მათორიტარების სიის სათავეში ჰყავთო. რატომ? — ყველა ასე არ მოიქცა?! სად არიან ახალი სახეები, ახალგაზრდა კადრები?! სულ ამაზე საუბრობდნენ და ვინ არის ახალგაზრდა და ახალი სახე, ბუბა კიკაბიძე?! თუ თეა ულუკაინია ახალი სახე?! ამ ქვეყანაში ახალი სახეები არაფერს სჭირდება. ამით სჭირდებათ მონები, რომლებიც საკუთარ სინდისს გაყიდნენ ამა თუ იმ ლიდერის გულისთვის. სწორედ ეს არის ამ ქვეყნის კრიზისი, რომ სულ ერთსა და იმავე წრეზე ვტრიალებთ. ერთადერთი პარტია, რომელმაც, ასე თუ ისე, შედარებით ახალი სახეები და ახალგაზრდული გუნდი წარადგინა, არის „ლელო“. „ლელოს“ პირველ ხუთეულზე ამას არ ვიტყვით, მაგრამ ათე-

ულსა და ოცეულში ჰყავთ ახალი სახეები. თვითონ ხაზარაძე და ჯაფარიძე ჩემთვის მიუღებელი არიან. მე საერთოდ არა ვარ „ლელოს“ ქომავი, თუმცა ჰყავთ სიაში ისეთი ადამიანები, რომელთა ხილვაც საინტერესო იქნებოდა ამომრჩევლებში. ძალიან საინტერესოა, რომ მათი სია ხაზარაძითა და ჯაფარიძით იწყება! — როგორ ფიქრობთ, დასჭირდება „ოცნებას“ კოალიცია და ვინ შეუქმნის? — „ოცნებას“ კოალიცია არ დასჭირდება, თუმცა, როგორც კალაქე ამბობს, არც ეგერ მოხდება. საჯაროდ, 50%-ს ან ოდნავ მეტს აიღებს „ქართული ოცნება“, თუმცა ეს არ იქნება საქართველოს მოსახლეობის გადაწყვეტილება. ეს იქნება ზუსტად ისე, რომ აქტივობებიდან გამომდინარე, იქიდან გამომდინარე, რომ ამ არჩევნებზე ძალიან ცოტა ხალხი მივა. ამას შეგნებულად აკეთებს მმართველი გუნდი, რათა შემდეგ მანიპულაცია მოახდინოს. — ანუ იქნება პური და სანახაობა? ამას გეტავაზობს ივანიშვილი? — ზუსტად ასე იქნება. ვიხილავთ სანახაობას და, დარწმუნებული ვარ, პურსა და ძვლებსაც გამოგვიყვანოს ივანიშვილი იმისთვის, რომ ძალაუფლება შეინარჩუნოს, თუმცა ეს დიდხანს ვერ გასტანს, იცოდეს ივანიშვილი. ამერიკაში ჩაივლის თუ არა არჩევნები, ეს ყველაფერი აქაც დასრულდება. ჩემი პროგნოზი ასეთია, რომ ახალი ხელისუფლება იქნება მოკვლეადიანი. მაქსიმუმ ერთი წელი „გაქაწონ“ ამ შემადგენლობით. გეფიცებით, ასეთი ამაზრზენი და არაფრის მქმნელი პარლამენტი, რომელსაც ერთ თვეში ვიხილავთ, ზუსტად ვიცი, რომ საქართველოს ისტორიას არ ახსოვს. ეს იქნება ყველაზე სამარცხვინო პარლამენტი, რომელიც კი აქამდე გვეჩვენებდა. ეს არ იქნება პარლამენტი. ეს იქნება ცირკი, რაღაც ამაზრზენი რამ. ისინი მიხედავენ იმაზე იქნებიან მოტივირებული, თუ როგორ მოუარონ საკუთარ ჯიბებს და როგორ შეინარჩუნონ მოპარული ფული. მე ვიფიქრებდი, რომ პარლამენტმა, რომელიც ჯერ არ აგვიჩვენია, უახლოეს ხანში დაასრულოს თავისი მოღვაწეობა ეს იქნება ის პარლამენტი, რომელიც ხალხს არაფერში გამოადგება.

# ირაკლი ოქრუაშვილია გორის მამორიბარად ირაკლი ოქრუაშვილი ნარაღინა

პარტიამ „გამარჯვებული საქართველო“ რამდენიმე დღის წინ საარჩევნო სიის პრეზენტაცია მოახსო და რამდენიმე რიგში მათორიტარობის კანდიდატები წარადგინა. როგორც ცნობილი იყო, პარტია გორი-კასპის რაიონებში კანდიდატს მოგვიანებით დაასახელებდნენ. პარტიის თავმჯდომარე ირაკლი ოქრუაშვილიმა ტვ „პირველის“ ეთერში განაცხადა: — გორისა და კასპის სამაჟორიტარო ოლქში მათორიტარობისათვის იბრძობებს ირაკლი ოქრუაშვილი. ის გასლავთ გორელი, საკმაოდ აქტიური, მიზანდასახული ახალგაზრდა, რომელიც აუცილებლად აჩვენებს მნიშვნელოვან შედეგს. რამდენიმე დღეში მას ოფიციალურად წარვუდგენთ ამომრჩევლებს.



# საქართველომ სომხეთისა და აზერბაიჯანის მიმართულებით სახელმწიფო ტვირთების გატარება შეაჩერა

აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის მიმდინარე სამხედრო მოქმედებების გამო საქართველოს მთავრობამ ესკალაციის დაწყებისთანავე დროებით შეაჩერა ნებართვების გაცემა საკუთარ ტერიტორიაზე, სახმელეთო და საჰაერო მარშრუტებით სამხედრო ტვირთების გატარებაზე ორივე ქვეყნის მიმართულებით. ამის შესახებ ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს 3 ოქტომბრის განცხადებაშია აღნიშნული. „დღესაც, საქართველოს გავლით, ტრანზიტის რეჟიმში სამოქალაქო და ნიშნულების სატვირთო გადაზიდვები შეუფერხებლად და უსაფრთხოდ ხორციელდება ნებისმიერი, მათ შორის აზერბაიჯანისა და სომხეთის მიმართულებით. გადაზიდვების ინტენსივობა მალა-



დასესებულა და არც დასესდება. ამასთან, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის მიმდინარე სამხედრო მოქმედებების გამო საქართველოს მთავრობამ ესკალაციის დაწყებისთანავე დროებით შეაჩერა ნებართვების გაცემა საკუთარ ტერიტორიაზე, სახმელეთო და საჰაერო მარშრუტებით სამხედრო ტვირთების გატარებაზე ორივე ქვეყნის მიმართულებით. ამის თაობაზე მხარეები ინფორმირებული იყვნენ. ნებისმიერ სხვა საერთაშორისო სატრანზიტო გადაზიდვებთან დაკავშირებით, ქართული მხარე სრულად დასრულებს საერთაშორისო ვალდებულებებს. ჩვენი საერთო ინტერესია — სწრაფად შეწყდეს სამხედრო დაპირისპირება და რეგიონში აღდგეს მშვიდობა, — ნათქვამია გავრცელებულ განცხადებაში.

**ახალი თაობა**  
გამოცემის 1993 წლის 23 ივლისიდან  
მთავარი რედაქტორი — სოლო გოგინაშვილი  
რედაქტორი — ლალი ახლანიშვილი  
საფინანსო სამსახური — ჯორა მალაფაძე  
სარეკლამო სამსახური — 599-532-690  
დირექტორი — ზურაბ მერიძე  
გაფრცხვლების სამსახური — მერაბ ლევინაშვილი  
ვებგვერდი: [www.akhalioba.ge](http://www.akhalioba.ge)  
ელ.ფოსტა: [axtaoba@mail.ru](mailto:axtaoba@mail.ru)  
ტელეფონი: 599-532-690  
რედაქციის მისამართი არ რეგისტრირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სურათგამოკვეთების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.











შედეგები

3 ოქტომბერი

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

Table with 2 columns: Team, Goals. Rows include Arsenal, Liverpool, Manchester United, etc.

სატურნო ცხრილი:

Table with 2 columns: Rank, Points. Lists top scorers like Lewandowski, Salah, etc.

ინგლისი. ჩემპიონლიგა

Table with 2 columns: Team, Goals. Rows include Tottenham, Arsenal, Liverpool, etc.

გერმანია. ბუნდესლიგა

Table with 2 columns: Team, Goals. Rows include Bayern Munich, Borussia Dortmund, etc.

სატურნო ცხრილი:

Table with 2 columns: Rank, Points. Lists top scorers like Lewandowski, Haaland, etc.

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

Table with 2 columns: Team, Goals. Rows include Borussia Mönchengladbach, etc.

სატურნო ცხრილი:

Table with 2 columns: Rank, Points. Lists top scorers like Lewandowski, Haaland, etc.

ესპანეთი. სეხა 1

Table with 2 columns: Team, Goals. Rows include Real Madrid, Barcelona, etc.

სატურნო ცხრილი:

Table with 2 columns: Rank, Points. Lists top scorers like Lewandowski, Haaland, etc.

ესპანეთი. სეხა 2

Table with 2 columns: Team, Goals. Rows include Real Madrid, Barcelona, etc.

Table with 2 columns: Team, Goals. Rows include Arsenal, Liverpool, Manchester United, etc.

Table with 2 columns: Team, Goals. Rows include Tottenham, Arsenal, Liverpool, etc.

Table with 2 columns: Team, Goals. Rows include Tottenham, Arsenal, Liverpool, etc.

Table with 2 columns: Team, Goals. Rows include Tottenham, Arsenal, Liverpool, etc.

Table with 2 columns: Team, Goals. Rows include Tottenham, Arsenal, Liverpool, etc.

Table with 2 columns: Team, Goals. Rows include Tottenham, Arsenal, Liverpool, etc.

Table with 2 columns: Team, Goals. Rows include Tottenham, Arsenal, Liverpool, etc.

Table with 2 columns: Team, Goals. Rows include Tottenham, Arsenal, Liverpool, etc.

Table with 2 columns: Team, Goals. Rows include Tottenham, Arsenal, Liverpool, etc.

Table with 2 columns: Team, Goals. Rows include Tottenham, Arsenal, Liverpool, etc.

Table with 2 columns: Team, Goals. Rows include Tottenham, Arsenal, Liverpool, etc.

Table with 2 columns: Team, Goals. Rows include Tottenham, Arsenal, Liverpool, etc.

Table with 2 columns: Team, Goals. Rows include Tottenham, Arsenal, Liverpool, etc.

Table with 2 columns: Team, Goals. Rows include Tottenham, Arsenal, Liverpool, etc.

Table with 2 columns: Team, Goals. Rows include Tottenham, Arsenal, Liverpool, etc.

Table with 2 columns: Team, Goals. Rows include Tottenham, Arsenal, Liverpool, etc.

Table with 2 columns: Team, Goals. Rows include Tottenham, Arsenal, Liverpool, etc.

Table with 2 columns: Team, Goals. Rows include Tottenham, Arsenal, Liverpool, etc.

Table with 2 columns: Team, Goals. Rows include Tottenham, Arsenal, Liverpool, etc.

Table with 2 columns: Team, Goals. Rows include Tottenham, Arsenal, Liverpool, etc.

Table with 2 columns: Team, Goals. Rows include Tottenham, Arsenal, Liverpool, etc.

Table with 2 columns: Team, Goals. Rows include Tottenham, Arsenal, Liverpool, etc.

Table with 2 columns: Team, Goals. Rows include Tottenham, Arsenal, Liverpool, etc.

Table with 2 columns: Team, Goals. Rows include Tottenham, Arsenal, Liverpool, etc.

Table with 2 columns: Team, Goals. Rows include Tottenham, Arsenal, Liverpool, etc.

Table with 2 columns: Team, Goals. Rows include Tottenham, Arsenal, Liverpool, etc.

Table with 2 columns: Team, Goals. Rows include Tottenham, Arsenal, Liverpool, etc.

კლავიშიკ ვაისი: „შანსი გვაქვს, ისტორია შევხვალთ“

კარს მოგვადგას საქართველოს ნაკრებისთვის ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მატჩი. თუმცა, 8 ოქტომბერს ბელარუსთან შეხვედრის გარეშე, 11 და 14 ოქტომბერს არანაკლებ საინტერესო თამაშები გველის.



ტაბიის ვარიანტები. სამივეს ტრავმა აწუხებდა. ესტონეთთან ჯილდური ვცადე. ის არ არის მარცხენა მცველი, მაგრამ დაცვის მარცხენა ფლანგზე ბევრ კარგ მემარჯვენეს უთამაშია. მერე შანსი ახალგაზრდა მალის მივეცი. შევდომა დაუშვა, მაგრამ ცუდად არ ითამაშა, ამასთან, პირველად იყო ნაკრებში. მას კიდევ მივცემ შანსს - მალის ძალიან უყვარს ფეხბურთი და ნიჭიერია.

ვლადიმერ ვაისის გუნდი წვრთნას ხვალედიან დაიწყებს. თუმცა, უკვე თბილისში არიან გურამ კაშია და ვაკო ყაზაიშვილი, რომლებიც ამერიკიდან დროულად ჩამოფრინდნენ, რათა სავალდებულო პროცედურების გავლა მოესწროთ.

შემტევი დავითაშვილის ნაცვლად ვაისმა ნაკრებში ბათუმის დინამოს მარცხენა მცველს გიორგი ნავალოვსკის უბმო.

ვლადიმერ ვაისმა მომავალი მატჩის მნიშვნელობაზე ქართულ ტელევიზორებში ისაუბრა:

ბელარუსთან მატჩი ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანია. მასობის თბილისის დინამოს დიდი წარმატება და ძალიან ბევრი დიდი ქართველი ფეხბურთელი, მაგრამ ახლა გვაქვს შანსი, ისტორია შევცვალოთ, ევროპის ჩემპიონატზე მოხვდეთ და ევროპის საუკეთესო გუნდებთან ვითამაშოთ. ფლეი ოფში არიან ბელარუსი, კოსოვო და ჩრდილოეთ მაკედონია. თამაშშივე ყველას 25% აქვს შანსი. ბელარუსთან მოსაგებად ყველაფერს გავაკეთებთ. ჯერ არ ვიცი, იქნებინ თუ არა მაყურებლები, მაგრამ ეს წესები ყველასათვის ერთია - კორონამ შევცვალა მსოფლიო და ფეხბურთი. ამ თამაშისთვის მომზადება ძალიან რთულია.

გულშემატკივრებს გარეშე გავგვიჩივრებ. მაგრამ გავალთ მოედანზე, ვითამაშებთ, მოვიგებთ და ქართველ ხალხს ბედნიერებას მოუტანთ. ბელარუსთან თამაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ჩემს სამწვრთნელო კარიერაში.

მიუხედავად კორნაიუსისა, ბელარუსის ჩემპიონატი არ შეჩერდება. არ ვიცი, არის თუ არა ეს მათთვის უპირატესობა. ჩვენს ფეხბურთელებს კი 3 თვე მოუწიათ იძულებით დასვენება. ბელარუსების თამაში აბუ დაბიში ნახე, მაგრამ შემდეგ ამერიკაში შეიქცა. მარტის ბოლოს ჩემი კონტრაქტის ვადა ამოწმდება და 3 თვე გაურკვეველი სიტუაცია იყო. მერე ახალი კონტრაქტი გავაფორმეთ. 5 წელია, აქ ვარ და მინდა, ეს ყველაფერი წარმატებით დავამთავრო. ბელარუსს გამოცდილი ნაკრები ჰყავს. მათ შევცვალეს მწვრთნელი, რომელმაც გაამკაცრა დისციპლინა, შეიტანა ტაქტიკური სისახლე. აქვეყნებს დაცვაზე აკეთებენ. ძალიან უნდა მოვიწოდოთ და მოწოდებებს ქართული ტექნიკა უნდა დავამატოთ.

5 წელია, აქ ვარ, მრავალი წელია, დაცვის მარცხენა ფლანგზე ნავალოვსკი თამაშობს. არის ასევე დვალის და

გუნდის სული და გული არიან. ვიცეკაპიტანი ყოველთვის ძალიან კარგადაა მომზადებული. მოკლე, ჯაბასა და გურამის გარეშე ჩვენ სრულფასოვანი გუნდი არ ვართ. დაბრუნდა ვაკოსთან ერთად და ვარჯიშებზე კარგად გამოიყურება.

ჩაკვეტაძე ძალიან დიდი ტალანტია, გამორჩეულად ნიჭიერია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ - ევროპაში. 2 წლის წინ ის გუნდის ნამდვილ ლიდერად ჩამოყალიბდა, მაგრამ მერე ტრავმა მიიღო, რომელმაც ყველაფერი თავდაყირა დააყენა. სწრაფია, ბევრ რომტს აკეთებს, სწრაფად აზროვნებს, პოზიციებს იცვლის და ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელია. ესტონეთთან ცუდი არ იყო, მაგრამ ის არ არის მზად ისე, როგორც 2 წლის წინ და მაკედონიასთან ამიტომ არ დავაყენე ძირითად შემადგენლობაში. შეიძლება ითქვას, მას გავუფრთხილდი, მაგრამ შემდეგ კლუბში ისევე ტრავმა მიიღო. ჩვენი ექიმები შეამოწმებენ და ამის შემდეგ მივიღებ გადაწყვეტილებას. ცხადია, ის ჩვენი ძალიან გვჭირდება.

ამ მომენტისთვის საქართველოს ეროვნული გუნდის შემადგენლობა ასე გამოიყურება:

გეორგიევი: გიორგი ლორია (ანორთოსისი, კვიპროსი), გიორგი მაკარიძე (ალმერია, ესპანეთი), ლაზარე კუპატაძე (საბურთალო);

მცველები: გურამ კაშია (სან ხოსე, აშშ), ოთარ კაკაბაძე (ტენერიფე, ესპანეთი), დავით ხოჭოლაძე (შახტარი, უკრაინა), გია გრიგალავა (არსენალი, რუსეთი), საბა კვიციანი (როტორი, რუსეთი), ნიკა მალი (საბურთალო), გიორგი ნავალოვსკი, მამუკა კობახიძე (ორიგე დინამო ბო), ჯემი ტაბიძე (უფა, რუსეთი), ლაშა დვალი (ფერენცვაროში, უნგრეთი);

ნახევარმცველები: ჯაბა კანკავა, ნიკა კვეციანი (ორიგე ტობოლი, ყაზახეთი), გიორგი ჩაკვეტაძე (გენტი, ბელგია), გიორგი აბურჯანია (მოვიდო, ესპანეთი), მურთაზ დაუშვილი (ანორთოსისი, კვიპროსი), ლევან შენგელია (ქონიასფორი, თურქეთი), საბა ლობჯანიძე (ანკარაგიუჯუ, თურქეთი), ზვიან კვარაცხელია (რუბინი, რუსეთი), ვაკო გვილია (ლეგია, პოლონეთი), ჯაბა ჯილაური (დინამო ბო), ოთარ კიტეიშვილი (შტურმი, ავსტრია);

თავდამსხმელები: გიორგი ქვიციანი, თორნიკე ოქრიაშვილი (ორიგე ანორთოსისი, კვიპროსი), ვაკო ყაზაიშვილი (სან ხოსე, აშშ), ელგუჯა ლობჯანიძე (ქაისარი, ყაზახეთი), ნიკა კაჭარავა (ლხვი, პოლონეთი).

კვარაცხელიას თვალი თურქებზე დააღვას

19 წლის ქართველი ტალანტი ზვიან კვარაცხელია, რომელიც ყაზახანის რუბინის მაისურით ირგება, შესანიშნავ სეზონს ატარებს. მისი დაინტერესება უკვე გამოხატეს და, შესაძლოა, თურქული გრანდის, სტამბოლის გალათასარაის ფეხბურთელი გახდეს.

რუსული მედიის ცნობით, კვარაცხელიას გადაბირების სურვილი პირადად გალათასარაის მთავარ მწვრთნელს, თურქული ფეხბურთის ცოცხლ ლეგენდას, ფათიჰ თერიმს აქვს.

თურქული კლუბი ქართველის გადაბირებისთვის ზამთრის სატრანსფერო ფანჯრისას იბრძობებს, მაგრამ, რამდენად დათმობს რუბინი ჩვენებურს, საკითხავი ახლა ეს არის.

საქმე ის არის, რომ რუბინის გენერალურმა დირექტორმა რუსტემ საიმანოვმა კვარაცხელიას, მაკაროვისა და ბაკაევის შესახებ ისაუბრა. მისი თქმით, ამ ფეხბურთელებთან დაკავშირებით დაინტერესებულ კლუბთა მხრიდან წინადადებების მისაღებად მზად არაა, რადგან სეზონი ახლახან დაიწყო და აღნიშნული მოთამაშეები გუნდისთვის დიდ ძალას წარმოადგენენ.

მიმდინარე სეზონში ზვიან კვარაცხელიამ რუსეთის პრემიერლიგაში 9 მატჩი ჩაატარა, 1 გოლი შეაგდო, 1 საგოლე პასი შეასრულა და 3 პენალტი გამოიმუშავა.

რუსეთის პრემიერ ლიგის მე-10 ტურში ყაზახანის რუბინი ახმატს უმასპინძლებს. მატჩის შემდეგ კვარაცხელია სამშობლოში დაბრუნდება და ბელარუსთან უმნიშვნელოვანესი შეხვედრისთვის მოემზადება.

მოამზადე მსხვილ უორილიანმა

კრისკორი ა და კრისკორი ბ. შეუღალე: 1. მხატვრულად გაფორმებული, რბილყდიანი ბროშურა; 2. ხეცსურული ტანსაცმელი; 3. ძღვენი, საჩუქარი; 4. სევანის ტბის ძველი სახელწოდება; 5. ქართველი მოქანდაკე, როდენის მოწაფე; 8. ვენესუელის დედაქალაქი; 12. ქართული სამშენებლო კომპანია; 13. საერთაშორისო ხელშეკრულება, შეთანხმება; 14. მთიანეთი სამხრეთ ამერიკაში; 16. მადრიდის „ატლეტისკოს“ ფეხბურთელია გუნდის მწვრთნელი; 18. ხელოვნების მუზეუმი მილანში; 20. ცხვრის ქონიანი კუდი.

სამგლოვიარო და მისალომი განსხვავებები მიიღება. ტელ.: 599-532-690 - 12-დან 17 საათამდე.

